

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (წლიური)

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
1	საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1	საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2	საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი
1.3	საკონტაქტო პირი	ლევან ქარსაულიძე
1.4	საკონტაქტო პირის ფუნქცია	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
1.5	საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6	საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	lkarsaulidze@geostat.ge
1.7	საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (302)
1.8	საკონტაქტო პირის ფაქსი	-
2	მეტამონაცემების განახლება	
2.1	მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2020 წ. 4 თებერვალი
2.2	მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2020 წ. 4 თებერვალი
2.3	მეტამონაცემების ბოლო განახლება	2020 წ. 4 თებერვალი
3	სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1	მონაცემების აღწერა	საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის (ევროსტატის), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (SNA-2008) სტანდარტული მეთოდოლოგია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). რეგიონული მშპ გვიჩვენებს დროის გარკვეულ პერიოდში (წელიწადი, კვარტალი) ქვეყნის რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას საბაზრო ფასებში.
3.2	კლასიფიკაციის სისტემა	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016) (შემუშავებულია NACE Rev. 2 ბაზაზე); • პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით - სეკ (CPA 2008).
3.3	სექტორის მოცუვა	მთელი ეკონომიკა რეგიონების და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით.
3.4	სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის დროის გარკვეულ პერიოდში რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება საბაზრო ფასებში.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>წარმოების მეთოდით რეგიონული მშპ უდრის ეკონომიკური საქმიანობის სახეების (ან ინსტიტუციური სექტორების) მიერ წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულებისა და პროდუქციაზე გადასახადებსა (დამატებული ღირებულების გადასახადი, იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი) და სუბსიდიებს შორის სხვაობის ჯამს.</p> <p>რეგიონული მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს რეგიონში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა (მთლიანი გამოშვება) და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას.</p> <p>მთლიანი გამოშვება რეგიონების მიხედვით არის წელიწადის ან კვარტალის განმავლობაში რეგიონის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა საბაზრო ფასებში.</p> <p>მთლიანი გამოშვების შეფასება მოცემულია საქონლისა და მომსახურების მწარმოებლის საბაზრო ფასებში, რითაც ფაქტობრივად ხორციელდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების ჩათვლევად.</p> <p>პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში = ბრუნვა + კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება - დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე + სუბსიდიები პროდუქტებზე +/- დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება +/- მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება +/- გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება.</p> <p>ვაჭრობაში, საშუამავლო საქმიანობაში, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში) პროდუქციის გამოშვება არის საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლისა (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შეძენის) ღირებულებებს შორის სხვაობა.</p> <p>შუალედური მოხმარება განისაზღვრება როგორც იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია და ნახარჯების სახით წარმოების პროცესში.</p> <p>შუალედური მოხმარება = საქონლისა და მომსახურების ყიდვები - საქონლისა და მომსახურების ყიდვები უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის +/- ნედლეულის და მასალების, სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება.</p>
3.5	სტატისტიკური ერთეული	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები; • სახელმწიფო მმართველობის ორგანოები; • შინამეურნეობები; • შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო).
3.6	სტატისტიკური პოპულაცია	რეგიონის ეკონომიკური ტერიტორია.
3.7	საანგარიშო რეალი	საქართველოს რეგიონები (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).
3.8	დროის მოცვა	<p>მონაცემები ხელმისაწვდომია 2006 წლიდან.</p> <p>დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 წლის (SNA 2008) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 2010 წლიდან.</p> <p>დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 1993 წლის (SNA 1993) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 2006 წლიდან.</p>
3.9	საბაზო პერიოდი	-

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
4	ზომის ერთეული	მილიონი ლარი; ლარი.
5	საანგარიშო პერიოდი	წელი.
6	ინსტიტუციური მანდატი	
6.1	სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები	საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ"; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2	მონაცემთა გაზიარება	-
7	კონფიდენციალურობა	
7.1	კონფიდენციალურობა-პოლიტიკა	<p>1. საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ":</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა. • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.</p>

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437
7.2	კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8	გამოქვეყნების პოლიტიკა	
8.1	გამოქვეყნების კალენდარი	მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2	გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა	https://geostat.ge/ka/calendar
8.3	მომხმარებელთა ხელმისაწვდომობა	მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
9	გავრცელების სიხშირე	წლიური.
10	ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა	
10.1	პრეს-რელიზები	<p>პრეს-რელიზი რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ:</p> <p>https://geostat.ge/ka/single-categories/113/sakartvelos-mtliani-shida-produkti</p> <p>https://geostat.ge/ka/news</p>
10.2	პუბლიკაციები	<p>სტატისტიკური კრებული "საქართველოს ეროვნული ანგარიშები" ქართულ და ინგლისურ ენებზე. ელექტრონული ვერსია:</p> <p>https://geostat.ge/ka/single-categories/113/sakartvelos-mtliani-shida-produkti</p> <p>https://geostat.ge/en/single-categories/113/gross-domestic-product-of-georgia</p>
10.3	ონლაინ მონაცემთა ბაზა	<p>მონაცემები „MS. Excel“-ის ცხრილების სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებ-საიტზე სტატისტიკური ინფორმაციის ნაწილში „ეროვნული ანგარიშების“ განყოფილებაში „მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)“-ს ჩანართში:</p> <p>https://geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp</p> <p>მონაცემები “PC-Axis”-ის ბაზის სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებ-საიტზე მონაცემთა ბაზები „PC-Axis” ნაწილში „ეროვნული ანგარიშები“-ს განყოფილებაში „მშპ რეგიონების მიხედვით“ ჩანართში:</p> <p>http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database</p>
10.4	მიკრომონაცემებზე ხელმისაწვდომობა	არ არის ხელმისაწვდომი.
10.5	სხვა	-
10.6	დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე	<p>მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:</p> <p>https://geostat.ge/ka/modules/categories/119/methodologia-erovnuli-angarishebi</p>
10.7	დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ	-
11	ხარისხის მართვა	
11.1	ხარისხის უზრუნველყოფა	სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2	ხარისხის შეფასება	საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
12	შესაბამისობა	
12.1	მომხმარებელთა მოთხოვნები	მომხმარებელთა ძირითად ჯგუფებს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოები, მეცნიერ-მკვლევარები, სასწავლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ნებისმიერი მომხმარებელი, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებით რეგიონულ ჭრილში, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და პროგნოზირების საკითხებით.
12.2	მომხმარებელთა კმაყოფილება	2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/single-news/1746/statistikuri-informatsiis-momkhmarebelta-kmaqofilebis-gamokvleva-2019-tseli
12.3	სისრულე	მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას მოცულია როგორც აღრიცხული, ისე აღურიცხავი ეკონომიკის გამოშვება და შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია საერთაშორისო მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებთან.
13	სიზუსტე და სანდოობა	
13.1	ზოგადი სიზუსტე	-
13.2	შერჩევითი ცდომილება	-
13.3	არაშერჩევითი ცდომილება	-
14	დროულობა და პუნქტუალურობა	
14.1	დროულობა	რეგიონული მშპ-ს მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მე-12 თვეს (საანგარიშო წლის შემდგომი წლის 25 დეკემბერს).
14.2	პუნქტუალურობა	მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15	თანამიმდევრულობა და შესადარისობა	
15.1	შესადარისობა – გეოგრაფიული	მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე.
15.2	შესადარისობა – დროში	მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
15.3	თანამიმდევრულობა–სტატისტიკურ მიმართულებებს შორის	<p>ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა პერიოდულობის და დეტალიზების შემდეგი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან: წლიური ეროვნული ანგარიშები, კვარტალური ეროვნული ანგარიშები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები.</p> <p>ეროვნული ანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი სტატისტიკური წყაროები: ბიზნეს სტატისტიკა, მოკლევადიანი სტატისტიკა, დასაქმების სტატისტიკა. აღსანიშნავია, რომ წყაროებში გამოყენებული ცვლადების განმარტება ხშირად განსხვავდება ეროვნული ანგარიშების კონცეფციებისგან, რისთვისაც ხდება დამატებითი კორექტირება ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.</p>
	თანამიმდევრულობა–შიდა	<p>ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა პერიოდულობის და დეტალიზების შემდეგი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან: წლიური ეროვნული ანგარიშები, კვარტალური ეროვნული ანგარიშები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები.</p>
16	დანახარჯები და დატვირთვა	-
17	მონაცემთა გადასინჯვა	
17.1	მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა	<p>სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/20610/20.Revision-policy_Geostat_20-July_final.pdf</p>
17.2	მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა	<p>სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკური მწკრივები დროთა განმავლობაში საჭიროებს დაზუსტებას. ამის საჭიროება შეიძლება დადგეს ზოგადად მეთოდოლოგიის ცვლილების ან რაიმე კონკრეტული მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების შედეგად. ახალი გამოკვლევის ჩატარების შედეგად მიღებული შედეგები შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს წინა პერიოდის მაჩვენებლებისაგან. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ახალ მონაცემებს, მაგრამ დინამიკური მწკრივის შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წინა პერიოდების შესწორებაც.</p> <p>დინამიკური მწკრივები დაზუსტდა SNA 2008 მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად. SNA 2008 მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად განხორციელდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის დანერგვა ეროვნულ ანგარიშებში. ასევე, დაზუსტდა ცალკეული დარგების გამოშვების გაანგარიშების მეთოდოლოგიაც, რამაც გამოიწვია დროითი მწკრივის განახლების საჭიროება. 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა მეთოდოლოგიის ცვლილებებით გამოწვეული განახლებული მონაცემთა მწკრივები.</p>
18	სტატისტიკური დამუშავება	
18.1	პირველადი მონაცემები	<p>მონაცემთა წყაროს წარმოდგენს საქსტატის დეპარტამენტების მიერ განხორციელებული კვლევები და ადმინისტრაციული მონაცემები</p> <p>საქსტატის შიდა წყაროებიდან მიღებული მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემები არაფინანსური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ (საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა); • მონაცემები შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი მაჩვენებლები (საქსტატის სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შინამეურნეობების

	ცნების დასახელება	წარმოდგენა
		<p>ინტეგრირებული გამოკვლევა და სტატისტიკური გამოკვლევა - მონაცემები შრომის შესახებ);</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი პროდუქცია (საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის დეპარტამენტის სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).
18.2	მონაცემთა შეგროვების სიხშირე	წლიური.
18.3	მონაცემთა შეგროვება	საქსტატის დეპარტამენტების მონაცემთა ბაზები.
18.4	მონაცემთა კონტროლი	ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა სისწორის გადამოწმება ხდება მონაცემთა წყაროსთან.
18.5	მონაცემთა გაანგარიშება	რეგიონული მშპ იანგარიშება მხოლოდ წარმოების მეთოდით მიმდინარე ფასებში. გაანგარიშებები ეფუძნება არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებას. სამომავლოდ იგეგმება პირდაპირი მეთოდების გამოყენება ინფორმაციული წყაროების გაუმჯობესების გზით. მონაცემები მუშავდება ეროვნული ანგარიშებისათვის საჭირო ფორმატში.
18.6	მოსწორება	-
19	კომენტარი	-